

TOPSIS –ზე დაფუძნებული მრავალ–ატრიბუტული გადაწყვეტილების მიღების მეთოდი მერყევ ფაზი–გარემოში

ირინა ხუციშვილი

irina.khutsishvili@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში წარმოდგენილია მრავალ–ატრიბუტული გადაწყვეტილების მიღების მეთოდი დაფუძნებული TOPSIS მიდგომაზე მერყევ ფაზი–გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც ატრიბუტების წონები უცნობია. მერყევი ფაზი–სიმრავლისთვის დელუკა–ტერმინის განზოგადებული ენტროპიის გამოყენებით განიხილება ატრიბუტების წონების შეფასება. TOPSIS მიდგომაში ალტერნატივების რანჟირება კეთდება იდეალური გადაწყვეტილების ვექტორთან მანძილის სიახლოვის მიხედვით. კონსტრუირებული მეთოდის ილუსტრირების მიზნით განიხილება მაგალითი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში.